თეიმურაზ ქარელი *

პატრიმონიალური მმართველობის ფორმა თანამედროვე საქართველოში

აბსტრაქტი

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებას მოსდევს ადამიანის ქცევის რაციონალიზაცია, რაც გამორიცხავს ყოველგვარ ზედმეტს და არაეფექტიანს. ეს ტენდენცია უწინარესად ჩანს მომსახურების სფეროში, სადაც IT-სფეროს ტექნოლოგიები გამოიყენება. იმავდროულად, ცვლილებებს განიცდის მრეწველობის სფეროც, ინერგება ისეთი მოწყობილობები და პროცესები, რომლებიც ადამიანთა მინიმალურ მონაწილეობას ითხოვენ. ეს ტრანსფორმაცია ითვალისწინებს ცვლილებებს მეურნე სუბიექტების ეკონომიკურ ქცევაში. თუმცა, მმართველობის არსებული სისტემა თანამედროვე საქართველოში ხელს უშლის ამ ცვლილებებს და ეწინააღმდეგება მას. ნებისმიერი რაციონალიზაცია წესების აბსტრაქტულ სისტემაზე დაფუძნებული მოქმედებაა. საქართველოს სახელმწიფო მმართველობის ფორმიდან ჩანს, რომ ხელისუფლება დგას წესებზე მაღლა და ძალაუფლების რეალიზება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშეც შეუძლია. სტატიაში ფიქსირებულია ეს წინააღმდეგობა წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების რაციონალიზაციასა და ხელისუფლების მმართველობის განხორციელების სისტემას შორის თანამედროვე საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: პატრიმონიალურობა; გლობალური რაციონალიზაცია; პატრიმონიალური ბატონობის სპეციფიკა; პატრიმონიალური მმართველი; პატრიმონიალური მმართველობის საარჩევნო სისტემა.

---

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი, ისტორიის მეცნიერების კანდიდატი

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლას, პოსტსაბჭოთა სივრცეზე პოლიტიკური რეჟიმების დემოკრატიზაციას, „რკინის ფარდის“ არარსებობას და ა.შ., მმართველობის პოლიტიკურ-ეკონომიკური ფორმის ცვლილებები არ მოჰყოლია.

სამწუხაროდ, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ცნება „პატრიმონიალიზმი“ ვერ გავრცელდა, რაც შესაძლოა პოლიტოლოგიურ ცნებათა სისტემაში მის რამდენადმე ბუნდოვან სტატუსს უკავშირდებოდეს: ეს ცნება ეფექტიანი ინსტრუმენტია მხოლოდ მაქს ვებერის მეთოდოლოგიური კონტექსტით გააზრებისას, რომლისადმი ინტერესიც ჩვენში ტრადიციულად დიდი არც არის. უცხოელი მეცნიერები კი საკმაოდ აქტიურად იყენებენ ცნებას „პატრიმონიალიზმი“, როგორც პოლიტიკის მეცნიერების სფეროში, ასევე სოციოლოგიურ და ეკონომიკურ მეცნიერებებში.

სტატიის მიზანია ქართული საზოგადოების პრაქტიკულად ყველა სფეროში ერთი მხრივ, პოლიტიკურ-ეკონომიკური მმართველობის არაციონალურ ფორმასა და მეორე მხრივ, გლობალურ პროცესებსა და რაციონალიზაციას შორის არსებული წინააღმდეგობის დასაბუთება.

ცნების - „პატრიმონიალური“ - კონტექსტი: რაციონალიზაცია

სანამ აღნიშნული წინააღმდეგობის აღწერას შევუდგებოდეთ, აუცილებელია რამდენადმე დაწვრილებით შევჩერდეთ რაციონალიზაციის გლობალური პროცესების ჩასახვასა და განვითარებაზე. სოციალური მეცნიერება მსოფლიოს სწრაფი ცვლილებების პერიოდში წარმოიშვა და ჩაფიქრებული იყო საზოგადოების მოდერნიზაციის, ტრადიციულიდან თანამედროვე საზოგადოებაზე გადასვლის საშუალებად. სოციალური მეცნიერების მესაძირკვლენი ო. კონტი, გ. სპენსერი, ჯ.ს. მილი ცდილობდნენ თავად მეცნიერების და მისი მეთოდოლოგიის პროექტირებას, მათმა მიმდევრებმა და

სამეცნიერო ტრადიციების გამგრძელებლებმა კი - ფ. ტიონისმა, ე. დიურკემმა, გ. ზიმელმა, და მ. ვებერმა - სოციალური მეცნიერების ფარგლებში ახსნეს თანამედროვეობის ბუნება და პერსპექტივები და იმავდროულად ხელი შეუწყეს მოვლენებისადმი საზოგადოების წევრების მკაფიო მორალურ-ეთიკური პოზიციების ჩამოყალიბებას. ფ. ტიონისი ერთმანეთისგან მიჯნავდა „თემსა“ და „საზოგადოებას“, ე. დიურკემი მსჯელობდა „მექანიკური“ და „ორგანული“ სოლიდა-რობის საზოგადოებებზე, გ. ზიმელი გამოყოფდა „ფულამდელ“ და „ფულის“ ეკონომიკას, მ. ვებერი „ტრადიციულ“ საზოგადოებებს უპირისპირებდა „რაციონალურს“. ამრიგად, თითოეული მათგანი აფიქსირებდა საზოგადოებაში მომხდარ ტრანსფორმაციებს და ცდილობდა მათ ახსნას სიბრტყეში „იყო-იქნება“.

არ ვაკნინებ სოციოლოგიის მეცნიერების განვითარებაში სხვა კლასიკოსების წვლილს და რამდენადმე სრულად შევჩერდები მაქს ვებერის კვლევებზე, რადგან სწორედ მისი მეთოდოლოგია ხსნის ცნებას „პატრიმონიალური“. პრაქტიკულად მისი ყველა ნაშრომის დედააზრია სამყაროს ტრანსფორმაციის იდეა მისი რაციონალიზაც-იის მეშვეობით. ეს მსოფლიო-ისტორიული პროცესია, რომელიც მთელ საზოგადოებას მოიცავს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. რა-ციონალიზდება მეურნეობის გაძღოლის წესი, რაციონალიზდება მმართველობა - როგორც ეკონომიკის, ასევე პოლიტიკის, მეცნიერ-ების, კულტურის - სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში; რაცი-ონალიზდება ადამიანთა აზროვნების წესი, ისევე როგორც მთლი-ანობაში მათი შეგრძნებების წესი და ცხოვრების წესი. მმართველო-ბის რაციონალიზაციას რომ აღწერდა, როგორც ეკონომიკაში, ასევე პოლიტიკაში, მ. ვებერი „ბატონობას“ ანალიტიკური ცნების საბაზი-სო ნაწილად იყენებდა, რაშიც იგულისხმება გარკვეული ბრძანები-სადმი შეწინააღმდეგების გარეშე მორჩილების შესაძლებლობა. ბა-ტონობის განხორციელების პირველ წესს რაციონალური ხასიათი აქვს, მეორეს კი - არარაციონალური. ბატონობის ამ ორი ტიპიდან მ.

ვებერი აფიქსირებს მმართველობის ორ ტიპს: რაციონალურს და არარაციონალურს (ორ ქვეტიპს: ტრადიციულსა და ქარიზმატულს). მსოფლიო-ისტორიული პროცესის მიმდინარეობისას სულ უფრო უნდა ვრცელდებოდეს მმართველობის პირველი ტიპი, რაციონალური, მეორის ტრანსფორმაციის ხარჯზე. რაციონალური ბატონობის დომინირებას მისი მაღალი ეფექტიანობა განაპირობებს.

მაქს ვებერის აზრით რაციონალიზაცია რამდენიმე ფაქტორის შემთხვევითი შეყრის შედეგად ჩაისახა და წინასწარ განსაზღვრა ევროპის განვითარების მიმართულება უკანასკნელი 300-400 წლის მანძილზე. „ამ ფაქტორთა კონსტელაცია ვებერის მიერ არ განიხილება როგორც რაღაც წინასწარ განსაზღვრული - დადგენილი - უფრო ესაა თავისებური სახის ისტორიული შემთხვევითობა, ამიტომ რაციონალიზაცია, მისი თვალსაზრისით, არის არა იმდენად ისტორიული განვითარების აუცილებლობა, რამდენადაც მისი ბედისწერა - ბედი“.[1] რაციონალიზაცია, დასავლეთ ევროპაში დამკვიდრების შემდეგ მსოფლიოს სხვა ნაწილებში გავრცელდა. ამდენად მმართველობის არარაციონალური ტიპების „კვდომის“ პროცესი საკმაოდ დიდ საისტორიო პერიოდს დაიკავებს და არაერთი ასეული წელიწადი გაგრძელდება.

მ. ვებერის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, ჯ. რიტცერი[2] ამტკიცებს, რომ თანამედროვე მსოფლიო სულ უფრო და უფრო რაციონალიზდება. რაციონალიზაცია, რომელიც სამრეწველო წარმოების სფეროში ჩაისახა (სადაც მის განსახიერებად გ. ფორდის კონვეიერი იქცა), XX საუკუნის შუა ხანებიდან აქტიურად იჭრება მომსახურე-

[1] მაქს ვებერის სოციოლოგია. (ფრანკ პარკინის მიხედვით). გვ.34-37 http://socium.ge/downloads/klasikurisocteoriebi/maqs%20veberis%20sociologia.pdf

[2] Ритцер Дж. (2011). Макдональдизация общества 5 / Пер. с англ. А.В.Лазарева; вступ. статья Т.А.Дмитриева. М., Издательская и консалтинговая группа «Праксис», https://socioline.ru/files/5/316/ritcer_dzhordzh_-_makdonaldizaciya_obshchestva_5_2011.pdf

ბის სფეროში, სადაც ეტალონური ბიზნეს-მოდელი (მომსახურების სფეროს რაციონალურობის განსახიერება) ხდება „მაკდონალდსის“ სწრაფი კვების რესტორნების ქსელი. ეს ბიზნეს-მოდელი რაციონალურობის ოთხ საბაზისო ელემენტს ეფუძნება: ეფექტიანობას, გათვლას, წინასწარგანჭვრეტადობას და კონტროლს. შედეგად რაციონალიზდება არა მხოლოდ წარმოება და მოსახურების სფერო, არამედ თავად მოხმარებაც, რასაც მოსდევს სერიოზული სოციოკულტურული ტრანსფორმაცია საზოგადოებაში - ის უფრო რაციონალური ხდება.

მსოფლიოს განვითარების ბოლო ორი ათეული წელიწადი აღინიშნა მომსახურების სფეროში IT ტექნოლოგიების აქტიური შეღწევით და მათი რადიკალური ტრანსფორმაციით. უკვე დღეს შეიძლება მსჯელობა სამგზავრო ავტოგადაზიდვების ბაზრის, სასტუმროების ბიზნესის, კლინინგური მომსახურების, საბუღალტრო და იურიდიული კონსალტინგის აბსოლუტური ცვლილების შესახებ. ამ სფეროში შეჭრით, IT ტექნოლოგიები ზრდიან მეურნე სუბიექტების ქცევის რაციონალურობის ხარისხს და ამცირებენ ხარჯიანობას. შედეგად ჩნდება ბიზნესის ახალი ფორმატები, რომლებიც მომხმარებლებისთვის და მეწარმეებისთვის უფრო მოსახერხებელია, აგრეთვე ეკონომიკურად ეფექტიანია, რაც საბოლოო შედეგად განაპირობებს მათ წარმატებულობას მეწარმეობის ტრადიციულ პრაქტიკებთან შედარებით. ამრიგად IT-ტექნოლოგიები დღეს ქცევის რაციონალიზაციის ისეთი საფუძველი ხდება, როგორც კონვეიერი წარმოების სფეროში 100 წელზე მეტი ხნის წინ. ამრიგად, მ. ვებერის მიერ დაფიქსირებული მსოფლიოს რაციონალიზაციის ტენდენცია, სულ უფრო ძლიერდება და საზოგადოების ყველა სფეროში მკვიდრდება.

საზოგადოების არარაციონალური ფორმები

საზოგადოების სხვადასხვა რაციონალური ფორმების გვერდით არსებობს არარაციონალურიც, რომლებიც პერსპექტივაში უნდა გამოიდევნოს. მ. ვებერი ბატონობის სამ ტიპს გამოყოფდა: რაციონალურს, ტრადიციულსა და ქარიზმატულს. ტრადიციულ და ხარიზმატულ ბატონობას მ. ვებერი მიაკუთვნებს არარაციონალურს, რადგან პირველი მათგანი ემყარება მმართველის თვითნებობას, რომელიც ტრადიციებს ეყრდნობა, მეორე კი - მმართველობის აბსოლუტურ თვითნებობას, რაც პირადი ქარიზმით არის განტკიცებული. სწორედ ბატონობის ეს ორი ტიპი დროთა განმავლობაში უნდა გამოიდევნოს რაციონალური ფორმით. ტრადიციული ბატონობა, მ. ვებერის კონცეფციაში, იყოფა გერონტოკრატიად, პატრიარქალიზმად და პატრიმონიალიზმად.[3] პირველი ორი ახასიათებს სახელმწიფოს ჩასახვის საწყის ეტაპებს, რადგან მათში არ არსებობს მმართველობის აპარატი - ბიუროკრატია, მხოლოდ პატრიმონიალიოზმია ის თეორიული მოდელი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია თანამედროვე სახელმწიფოებრიობის ანალიზისთვის.

პატრიმონიალიზმი - ბატონობისა და მორჩილების ურთიერთობის სისტემაა, რომლის დროსაც მმართველი საკუთარ ინტერესებს სახელმწიფოს ინტერესებთან აიგივებს, მმართველობის აპარატი და საზოგადოებები აახლებენ და იმეორებენ ბატონობის ამ ფორმას.

1973 წელს ისრაელელმა სოციოლოგმა შ. ეიზენშტადმა სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანა ახალი ტერმინი „ნეოპატრიმონიალიზმი“, რომელიც სახელმწიფოებრიობის ახალ ფორმებს ახასიათებს იმ

[3] Вебер М. (2017). Хозяйство и общество: очерки понимающей социологии [Текст]: в 4 т. / Макс Вебер; [пер. с нем.]; сост., общ. ред. и предисл. Л.Г.Ионина; Нац. Исслед. ун-т «Высшая школа экономики». М., Изд. Дом. Высшей школы экономики, Т.II. Общности. - https://id.hse.ru/data/2019/10/11/1527835567/Weber-%204_text_site.pdf

ქვეყნებში, რომლებიც კოლონიალიზმის მსხვრევის შემდეგ გაჩნდნენ და სადაც შერწყმულია დემოკრატიული მექანიზმები და მმართველობის განხორციელების ტრადიციული ფორმები.[4] ნეოპატრიმონიალიზმი პირველად მკვლევრებმა უგანდაში დააფიქსირეს და შემდეგ აფრიკის მთელი კონტინენტის საზოგადოებრივი ურთიერთობის დამახასიათებელ მოვლენად მიიჩნიეს. იგი მომდინარეობს არა მარტო ტრადიციებიდან, არამედ ახალი რეალიებიდანაც (ე.ი. გარკვეულწილად ჰიბრიდულია). ამავე დროს იგი სცდება აფრიკის საზღვრებს და მეტ-ნაკლებად მთელი მსოფლიოს მასშტაბით არის გავრცელებული. აუცილებელია ითქვას, რომ თავსართი „ნეო“ ნებისმიერი გაგებით გულისხმობს შესასწავლი მოვლენის ახალ თვისებებს და ნიშნებს. თავის კვლევებში მ. ვებერი აღწერდა ბატონობის იდეალურ ტიპებს, რომლებსაც მიეკუთვნება ბატონობის ტრადიციული ტიპი - პატრიმონიალური ბატონობა. „იდეალური ტიპი - არის რაიმე მოვლენის სახე, წარმოდგენა, რეპრეზენტაცია გამოყოფის, ხაზგასმის, გაზვიადების გზით მისი გარკვეული სახასიათო ელემენტების გააანალიზებისთვის.[5]

უნდა ითქვას, რომ შ. ეიზენშტადტის მიერ შემოთავაზებული ცნება - „ნეოპატრიმონიალიზმი“ - არ იძლევა ტრადიციული ბატონობის იდეალური ტიპის ახალ შინაარსს, მის მიერ გამოვლენილი შესასწავლი მოვლენის ახალი ნიშნები და თვისებები კი არ ცვლის პატრიმონიალიზმის სახეობათა ნიშნებს. სწორედ ამიტომ სტატიაში შემდგომ მსჯელობა შეეხება პატრიმონიალიზმს, როგორც ტრადიციული საზოგადოების ფორმას, არსებითად, იდეალურ ტიპს, ე.ი.

[4] Эйзенштадт Ш. (1999). Революция и преобразование обществ. Сравнительное изучение цивилизаций. М., Аспект Пресс, 435 с. http://abuss.narod.ru/Biblio/eizenshtadt1.htm

[5] Вебер М. (2017). Хозяйство и общество: очерки понимающей социологии ... გვ. 365.

აზრობრივ კონსტრუქციას, რომელიც იძლევა შესასწავლი მოვლენის სახასიათო ელემენტების დაფიქსირების შესაძლებლობას.

ბატონობის სხვა სახეებისგან პატრიმონიალიზმი პრინციპულად განსხვავდება იმით, რომ მმართველი თავის ძალაუფლებას აღიქვამს პირად საკუთრებად და არა აქვს მნიშვნელობა იმას თუ როგორ მიიღო ის: სახელმწიფო გადატრიალების, ომის, ზემდგომი პირის დელეგირების, არჩევნების გაყალბების შედეგად თუ აბსოლუტურად დემოკრატიული არჩევნების საფუძველზე. მმართველი ძალაუფლებას ფლობს, იყენებს და განკარგავს თავისი მოსაზრებებით, მისი ხელისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა კი კატეგორიულად მიუღებელია. მეტიც, მმართველი აიგივებს თავის თავს ხელისუფლებასთან. აქ უნდა მოვიტანოთ ფრაზა, რომელსაც მიაწერენ საფრანგეთის მეფეს ლუი XIV-ს (1643-1715): „სახელმწიფო - ეს მე ვარ“. სწორედ ამგვარი დამოკიდებულებით აიხსნება პატრიმონიალური მმართველის მიერ თავისი ხელისუფლების და თავისი სახელმწიფოს აღქმის არსი. ხელისუფლება პერსონალიზებულია მმართველში. სახელმწიფოს მეთაური პოლიტიკური სისტემის განსახიერებაა, მისი სიმბოლური ცენტრი და ძირითადი ნერვი ხდება, რომელიც ერთ მთლიანობაში უყრის თავს მმართველობის ფორმალურ და არაფორმალურ ძაფებს; ყველა სხვა პოლიტიკური ინსტიტუტი, ამგვარი ხედვის შესაბამისად, იმთავითვე მეორეხარისხოვანია და მხოლოდ მისი პოლიტიკური სტრატეგიის რეალიზაციის საშუალება, ინსტრუმენტია. ხელისუფლების პერსონალიზაცია ორგანულად გულისხმობს მასების თვითიდენტობას არა პოლიტიკურ პროგრამებთან, არამედ ლიდერის პიროვნებასთან, რომლისადმი ლოიალურობაც მის მიერ განსახიერებული პოლიტიკური რეჟიმისადმი ლოიალურობას ნიშნავს.

პატრიმონიალიზმი - ბატონობის ფორმა

პატრიმონიალიზმი არ არის პოლიტიკური სისტემა და არც პოლიტიკური რეჟიმია. პატრიმონიალიზმი - ბატონობის ფორმაა, რეალიზებული ნებისმიერი პოლიტიკური სისტემის ან ნებისმიერი პოლიტიკური რეჟიმის ფარგლებში. ხელისუფლების განხორციელ-ების პატრიმონიალურ წესს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სრულიად სხვადასხვა ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემაში. ცხადია, ეს სისტემები თავის დაღს ამჩნევს ბატონობის რეალიზაციის ფორმებს, მაგრამ ბატონობის ამ იდეალური ტიპის სახეობითი არსი ამის გამო არ იცვლება. პატრიმონიალურ მმართველს (პოლიტიკური სისტე-მის ან პოლიტიკური რეჟიმის სახეობას მნიშვნელობა არა აქვს), ძა-ლაუფლების დათმობა არ შეუძლია, რადგან ის მისი საკუთრებაა, ურომლისოდაც მისი არსებობა აზრს კარგავს. მას შეუძლია თანამ-დებობა თავის ნდობით აღჭურვილ პირებს გადასცეს („წავიდეს“), მაგრამ რეალური ძალაუფლება ყოველთვის მის ხელში იქნება კონ-ცენტრირებული. მხოლოდ გარდაცვალებას ან მძიმე ავადმყოფობას შეუძლია პატრიმონიალური მმართველის ხელისუფლებისგან ჩა-მოშორება. ამიტომ, მმართველის ცვლის შესახებ კონსტიტუციის მოთხოვნები თავად პატრიმონიალური ხელისუფლების ბუნებას უპირისპირდება. ეს წინააღმდეგობა ადვილად მოიხსნება ძირითა-დი კანონის მმართველის საამებლად გადაწერის გზით.

პატრიმონიალური მმართველობა და ნორმაშემოქმედება

თანამედროვე საზოგადოებებში ხელისუფლებას კანონი ზღუდავს, მაგრამ პატრიმონიალური მმართველის მოქმედება არ შეიძლება რაიმეთი შეიზღუდოს, გარდა მისი საკუთარი ნებისა, ამ-იტომ, კანონს არ შეუძლია ჰქონდეს ხელმწიფება მის მოქმედებაზე. შედეგად კანონი იქმნება არა ობიექტური აუცილებლობით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ პირველი პირის ან მისი მმართველობის აპ-არატის წარმომადგენლების ნებით, მისი ნების გათვალისწინების

სურვილით. სწორედ ამიტომ პატრიმონიალურ სახელმწიფოში ნორმაშემოქმედების ძირითადი წყარო ხდება მმართველი და მისი აპარატი, სამართლებრივი სისტემის ხასიათი კი ქაოტურია, ამდენად ნორმატული სამართლებრივი აქტები ერთმანეთს ეწინააღმდეგება და დუბლირებულია ან, საერთოდ, შესაძლოა არც ჰქონდეს რეგულირების სფერო. ნორმატულ-სამართლებრივი სისტემის ასეთი ხასიათი ხელს აძლევს მმართველს და მის აპარატს, რადგან გადაწყვეტილების მიღება განისაზღვრება არა წესების აბსტრაქტული სისტემით, არამედ კონკრეტულ პირთა ნებით. ამიტომ მმართველის და მისი აპარატის ხელისუფლება კანონმდებლობაში არსებული წინააღმდეგობებით მყარდება.

საკანონმდებლო ორგანოები პატრიმონიალურ სახელმწიფოში

საკანონმდებლო ორგანოები პატრიმონიალურ სახელმწიფოში არ წარმოადგენენ აღმასრულებელი ხელისუფლების საპირწონეს. ხელისუფლების ყველა შტო მმართველის ქვემდებარეა და ერთადერთი ბრძოლა, რაც მათ შორის დაშვებულია, არის ბრძოლა ხელისუფლების ამა თუ იმ შტოს კონკრეტული წარმომადგენლისადმი მმართველის პერსონალური კეთილგანწყობის მოსაპოვებლად. ნეოპატრიმონიალური სისტემის უამრავ სახესხვაობაში საპარლამენტო ორგანოები თავისებურ „სარეგისტრაციო პალატად“ გარდაიქმნება, რომელიც გადაწყვეტილებების მიღებაში დამოუკიდებელ როლს არ ასრულებს. პარლამენტი, რომელიც უპირატესად ფორმირებულია მმართველი (თუ დომინანტური ნახევრადსახელმწიფოებრივი) პარტიების წევრებისგან, ასეთ სისტემაში არ ფლობს, უმეტეს შემთხვევაში, პრაქტიკულად არანაირ უფლებას და მთავრობის საქმიანობაზე არანაირ კონტროლს არ ახორციელებს. პარლამენტარები იღებენ თამაშის გარკვეულ წესებს, რამდენადაც დეპუტატის ადგილის მიღება, მისი შენარჩუნება და, მაშასადამე, ამასთან დაკავშირებული მატერიალური სარგებლის და უპირატესობების მიღება

დამოკიდებულია უფრო მეტწილად პატრონის გუნება-განწყობილებაზე, ვიდრე ამომრჩევლის ნებაზე.

პატრიმონიალური მმართველობა და საარჩევნო სისტემა

თუ პოლიტიკური რეჟიმი საარჩევნო სისტემის არსებობას ითვალისწინებს, მისი მიზანია ელიტების შეუფერხებელი როტაცია. პატრიმონიალიზმის არსია - მმართველის და მისი აპარატის გაბატონებული პოლიტიკური არსებობის უზრუნველყოფა. პატრიმონიალური საარჩევნო სისტემა ელიტების როტაციას მმართველის ნების თანახმად ანხორციელებს. სწორედ მმართველი ადგენს, რომელი ელიტა რა პერიოდულობით და როგორ შეიცვლება. აუცილებელია ითქვას, რომ როტაციის წესები არ შეიძლება იყოს ხანგრძლივად სტაბილური, ვინაიდან მათი სტაბილურობა მმართველის ნებას ეწინააღმდეგება. სწორედ ამიტომ ელიტების განახლების მექანიზმი პირველი პირის გადაწყვეტილებითა და ნებით გამუდმებით მოდიფიცირდება.

აპარატი და კადრები პატრიმონიალურ მმართველობაში

პატრიმონიალური მმართველის აპარატი ორიენტირებულია მისი ნების რეალიზაციაზე, ამიტომ მოხელის ეფექტიანობის კრიტერიუმი ხდება არა მისი პროფესიონალიზმი, კვალიფიკაციის დონე და მისი საქმიანობის ეფექტიანობა, არამედ პირადი ერთგულება და მმართველისთვის მარგებლობა. აპარატის წევრებს შორის არ არის არც კოოპერაცია, არც შრომის დანაწილება, არის მხოლოდ სწრაფვა ნებისმიერი გზით მმართველის მეტი კეთილგანწყობის მოპოვებისკენ, თუნდაც კოლეგების დისკრედიტაციის ხარჯზე. მმართველის უახლოესი გარემოცვის ადამიანებს შორის კავშირები და კოალიციები წარმოიშვება არა იმდენად მიმდინარე პრობლემების გადასაჭრელად ან დასახული მიზნების მისაღწევად, რამდენადაც აპარატის სხვა წევრებთან საბრძოლველად.

თუ ქვეშევრდომი თავის მმართველს საკუთარი ნებით და მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ტოვებს, ის ავტომატურად გარიყული ხდება, კარგავს არა მხოლოდ კეთილდღეობას და პრეფერენციებს, მისი კოლეგები და ხელქვეითები მისგან დისტანცირდებიან, მასთან ნებისმიერი ურთიერთობა მინიმუმამდე დაჰყავთ.

მმართველთან დაახლოებულ თითოეულ მათგანს მმართველობის თავისი სფერო და თავისი აპარატი აქვს, რომელსაც ის პირად საკუთრებად აღიქვამს. ამრიგად პატრიმონიალური მმართველობა ფესვს იდგამს და ხარობს სახელმწიფო მოწყობის თითოეულ დონეზე. თითოეული მოხელე თანამდებობის მიღებას აღიქვამს როგორც პატრონისგან ბოძებულ საკუთრებას, რომელშიც ის ხდება სრულძალაუფლებიანი მფლობელი. სამართავად მიღებული წარმოების ძირითადი საშუალებები და პერსონალი აღიქმება პირად სარგებლობაში ბოძებულად. ამიტომ მოხელე მისთვის მინდობილ აპარატს პირადი ინტერესებისთვის იყენებს, აგრეთვე მის განვითარებაში საკუთარი სახსრების ინვესტირებას ახდენს, მაგრამ, მმართველობის აპარატი საჭიროა არა ეფექტიანი მუშაობისთვის, არამედ საკუთარი მიზნების სარეალიზაციოდ, რომელთა შორის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს პატრონის ან უმაღლესი მმართველის მეტი კეთილგანწყობის მოპოვების მიზანი.

მმართველი მმართველობის რომელიმე სფეროს საკონტროლოდ გადასცემს სანდო პირს და მისგან მოელის გარკვეული შედეგების მიღწევას, პირადი ერთგულების გამუდმებულ დემონსტრირებას, რასაც არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე ფორმალური საზღვრები და მაჩვენებლები. აქ კი ბევრი რამ დამოკიდებულია თავად ქვეშევრდომის საზრიანობასა და მოხერხებულობაზე. პატრიმონიალური მმართველი თავს არ იწუხებს თანმიმდევრული წესების მკაცრი სისტემის აგებით და შენარჩუნებით, რითაც დაადგენდნენ არა მხოლოდ მმართველის, არამედ მისი აპარატის წევრებისთვის ნებადართულობის საზღვრებს; მმართველობის მიღებული სფერო

ტრანსფორმირდება მამულად, სამემკვიდრეოდ, რომლითაც მისი მფლობელი საზრდოობს. ეს ხელს აძლევს მმართველს, რადგან აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება ნებისმიერი ქცეშევრდომის დაკავებული თანამდებობიდან მოხსნა და საამისოდ ფორმალური საფუძვლების მონახვა არ სჭირდება.

კონტროლი პატრიმონიალურ მმართველობაში

პატრიმონიალურმა მმართველმა საზოგადოებაში მიმდინარე მთელი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სხვა პროცესები უნდა აკონტროლოს. ამიტომ მმართველობის აპარატი ესწრაფვის მათში შეღწევას სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურების, სტანდარტიზაციის, ლიცენზირების და ა.შ. საშუალებით. ამას მოსდევს დუბლირებული ზედამხედველობა და კონტროლის ორგანოების სიჭარბე. ნორმატული სამართლებრივი სისტემის ქაოტურობის გამო კი ამ ორგანოების მოთხოვნების სისტემები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ამას მოსდევს ის, რომ მათი საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი ხდება არა აბსტრაქტულ ფორმალური წესები, არამედ კონკრეტული მაკონტროლებლისთვის ხელსაყრელი სოციალური პრაქტიკები.

სამეურნეო საქმიანობაში ეკონომიკური სუბიექტების თვითორგანიზაციის და თვითრეგულირების მექანიზმები ისეთივე მიუღებელი და უცხოა, როგორც ნებისმიერი უკონტროლობა პოლიტიკის სფეროში. ამიტომ პატრიმონიალური მმართველი დაინტერესებულია მთლიანად ბაზრებზე ან მის სეგმენტებზე მონოპოლიზაციის შექმნით, ვინაიდან ეს აძლევს მონოპოლისტების გაკონტროლებისა და მათი დახმარებით სახელმწიფო აპარატისთვის უკონტროლო სფეროებზე თავისი ნების რეალიზების შესაძლებლობას. მუშაობის ამ პრინციპმა შესაძლოა მიიღოს „ხელისუფლების ვერტიკალის“ გაძლიერების სახელმწიფო პოლიტიკის სტატუსი. „ხელისუფლების ვერტიკალი“ როგორც მართვის მექანიზმი ლეგიტიმირე-

ბულია იმით, რომ მას საზოგადოებრივი აზრი მართვის ქვედა რგოლების საქმიანობაზე კონტროლის ერთადერთ შესაძლო საშუალებად აღიქვამს.

ხელისუფლების მემკვიდრეობის პრობლემა პატრიმონიალურ მმართველობაში

პატრიმონიალურ მმართველობაში ხელისუფლების მემკვიდრეობის პრობლემა არ დგას, რადგან მმართველი თავს არ იწუხებს თავისი საკუთრების გადაცემის პრობლემით. როგორც აღვნიშნეთ, ხელისუფლება მმართველის პირადი საკუთრებაა, მმართველს მისი ნებაყოფლობით დათმობა არ შეუძლია. სწორედ ამიტომ მმართველი არც ზრუნავს მემკვიდრის მომზადებაზე. აგრეთვე, არ არსებობს მმართველების როტაციის მექანიზმი, რომელიც აბსტრაქტული წესების სისტემას დაეფუძნება. თუმცა ხელისუფლების გადაცემის საკითხი მაშინ ჩნდება, როდესაც მმართველს აღარ ძალუძს მმართველობის რეალიზება გარდაცვალების ან ჯანმრთელობის მოშლის გამო. მმართველის წასვლა აპროვოცირებს ტახტისთვის ელიტების ბრძოლას, რასაც მოსდევს სახელმწიფო მართვის სისტემის კოლაფსი, ცენტრიდანული ძალების გაძლიერება რეგიონულ ელიტებში და ლოკალური კონფლიქტების წარმოშობა.

დასკვნა

ნეოპატრიმონიალური რეჟიმების წარმოშობა წარმოადგენს პასუხს მოდერნიზაციის და თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობის პოლიტიკის ჩავარდნაზე. ეს არის ტრადიციონალიზმის და თანამედროვე სახელმწიფოს ელემენტების სიმბიოზი.

პატრიმონიალიზმი, როგორც სახელმწიფოს მმართველობის პოლიტიკურ-ეკონომიკური ფორმა, ეკონომიკურად არაეფექტიანია და მას მოსდევს ქრონიკული ჩამორჩენა სხვა რაციონალურ ფორ-

მებთან შედარებით. თუ ზემოაღნიშნულს შევაჯამებთ, შესაძლებელია ამის მიზეზების მოკლედ რეზიუმირება:

1. ხელისუფლების ბოროტად გამოყენება სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე;

2. პოლიტიკის პრიმიტივიზაცია, მისი მმართველის პერსონალიზაციაზე მომართვა;

3. კანონის აბსოლუტური უგულვებელყოფა;

4. ელიტების როტაციის უზრუნველყოფის მექანიზმის არარსებობას მოსდევს მათი გადაგვარება და დეგრადაცია, ამის შედეგია გადაწყვეტილების მიმღები პირების კვალიფიკაციის დაბალი დონე;

5. არსებული რესურსების არარაციონალური გამოყენება;

6. მართვის აპარატის გაზრდა, რასაც მოსდევს მისი რჩენის ხარჯების გამუდმებული ზრდა;

7. სტაბილურობა ნორმატული სამართლებრივი სისტემის არარსებობის გამო არ არის თვითორგანიზაციის და თვითმმართველობის მექანიზმები საზოგადოებრივ სექტორსა და სამეურნეო სფეროში, რასაც მოსდევს ტრანზაქციული ხარჯების სტაბილური ზრდა;

8. ბაზრების და ეკონომიკის დარგების მონოპოლიზაცია, რასაც მოსდევს ფასების მუდმივი ზრდა, პროდუქციის ხარისხის გაუარესება, მეურნე სუბიექტების ოპორტუნისტული ქცევა;

9. პოლიტიკური მემკვიდრეობითობის მექანიზმის არარსებობას მოსდევს პოლიტიკური კრიზისების ციკლურობა, რაც ქვეყნის სახელმწიფო მთლიანობისადმი მუქარებს აჩენს.

ბოლო არჩევნებმა ცხადყო თანამედროვე საქართველოში ჩამოყალიბებული პატრიმონიალური პოლიტიკურ-ეკონომიკური მმართველობის სტაბილურობა. მისი არარაციონალური ხასიათი სერიოზულ დაღს ასვამს სამამულო ეკონომიკის ფუნქციონირებას. მიზეზი ბევრია, სახელდობრ: მასში მიმდინარე სამეურნეო პროცე-

სები, არასტაბილური ნორმატულ-სამართლებრივი გარემოს მუდმივი ტრანსფორმაცია, თვითორგანიზების და თვითმმართველობის მექანიზმის არარსებობა, მათ ფუნქციონირებაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების პირდაპირი ჩარევა და ა.შ. თანამედროვე IT ტექნოლოგიები ითვალისწინებენ სამეურნეო პროცესების რაციონალიზაციას, ეს კი მმართველობის პატრიმონიალური პოლიტიკურ-ეკონომიკური ფორმების ფარგლებში შეუძლებელია. შედეგად ქართული საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში მათი შეღწევა გაცილებით ნელა ხდება, ვიდრე დასავლეთის ქვეყნებში, რასაც საბოლოოდ მოსდევს სისტემური ეკონომიკური ჩამორჩენა. ეს წინააღმდეგობა პატრიმონიალიზმის არარაციონალურ ბუნებასა და თანამედროვეობის გლობალურ რაციონალიზაციას შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გადაიჭრება, რაც გამოიწვევს საქართველოში მმართველობის პოლიტიკურ-ეკონომიკური ფორმების ტრანსფორმაციის აუცილებლობას.

ლიტერატურა

1. კიკაბიძე კობა. ერი-სახელმწიფო, თუ ერი-კორპორაცია? https://www.interpressnews.ge/ka/article/198813-koba-kikabize-eri-saxelmcipo-tu-eri-korporacia/ [19.03.2019]

2. კიკაბიძე კობა. "პატრონ–კლიენტელიზმი არჩევნებს არჩევნებამდე იგებს" https://www.radiotavisupleba.ge/a/24419172.html [19.03.2019]

3. კიკაბიძე კობა, ლოსაბერიძე დავით. (2000). ინსტიტუციონალიზმი და კლიენტელიზმი საქართველოში. სადისკუსიო წერილების სერია 3. გამ-ბა „ნეკერი“.

4. კუჭუხიძე ვასო. *ნეპოტიზმიდან კლიენტელიზმამდე.* http://netgazeti.ge/opinion/17174/ [19.03.2019]

5. მამრაძე პეტრე. *მორატორიუმი, კონსტიტუცია და კლიენტელიზმი.* http://resonancedaily.com/index.php?id_rub=11&id_artc=20757 [19.03.2019]

6. ჯონსი სტივენ. (2012). საქართველო. პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. გვ.189-192.

7. ჩარკვიანი თამარ. (2014). ნეოპატრიმონიალური და მერიტოკრატიული მართვის სტრატეგიები ტრანსფორმირებად საჯარო სამსახურში. სადისერტაციო ნაშრომი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი. 208 გვ. http://iliauni.edu.ge/uploads/other/1/1483.pdf

8. მაქს ვებერის. სოციოლოგია. (ფრანკ კარპინის მიხედვით). გვ.34-37. http://socium.ge/downloads/klasikurisocteoriebi/maqs%20veberis%20sociologia.pdf

9. Kuzio T. Transition in Post-Communist States: Triple or Quadruple? Politics. 2001. Vol.21. N.3. P.171. http://www.taraskuzio.com/Economic%20Transition_files/economics-transition.pdf

10. Вебер М. (2017). Хозяйство и общество: очерки понимающей социологии [Текст]: в 4 т. / Макс Вебер; [пер. с нем.]; сост., общ. ред. и предисл. Л.Г.Ионина; Нац. Исслед. ун-т «Высшая школа экономики». М., Изд. Дом. Высшей школы экономики, Т.II. Общности. - https://id.hse.ru/data/2019/10/11/1527835567/Weber-%204_text_site.pdf

11. Ритцер Дж. Макдональдизация общества 5 / Пер. с англ. А.В.Лазарева; вступ. статья Т.А.Дмитриева. М., Издательская и консалтинговая группа «Праксис», 2011. 592 с. https://socioline.ru/files/5/316/ritcer_dzhordzh_-_makdonaldizaciya_obshchestva_5_2011.pdf

12. Эйзенштадт Ш. Революция и преобразование обществ. Сравнительное изучение цивилизаций. М., Аспект Пресс, 1999. 435 с. http://abuss.narod.ru/Biblio/eizenshtadt1.htm

Teimuraz Kareli

A Form of Patrimonial Governance in Modern Georgia

Abstract

The development of modern technology is followed by the rationalization of human behavior, which excludes any superfluous and ineffectiveness. This trend is particularly evident in the service sector, where IT technologies are used. At the same time, the industry is experiencing changes, introducing the kind of certain devices and processes that require minimal human participation. These transformations involve changes in the economic behavior of business entities. However, the current system of government in modern Georgia prevents and opposes these changes. Any rationalization implies action based on an abstract system of rules. The form of government in Georgia shows that the government is above the rules and can exercise power without any restrictions. The article presents the contradiction between the rationalization of modern production technologies and the state administration system in modern Georgia.

Keywords: Patrimony; Patrimonialism; Patrimonial Domination; Global Rationalization; Patrimonial Governance Electoral System.